დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯ "ოპიზარის "დირექტორის

2026 წლის 27/05/ # 629680 ბრძანებით

პრაქტიკის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი

1. სსიპ კოლეჯ "ოპიზარის " (შემდგომში კოლეჯი) პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეტალებს და პირობებს.

2. პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას კოლეჯთან ერთად პროგრამის კოოპერაციული/დულური სწავლების სახით განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ როლს, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

ბ) მისი ადამიანური(საჭიროების შემთხვევაში) და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

გ) საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას /ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ამ წესის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს კოლეჯი.

4. იმის დასადასტურებლად, რომ პრაქტიკის ობიექტი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს, გამოიყენება მასთან შეხვედრის ფორმატი/ინფორმაციის გაგზავნა ელექტრონული ფოსტის /ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით ან/და კოლეჯის/ობიექტის წარმომადგენლების მიერ ვიზიტის გზით კოლეჯში/ობიექტზე, სადაც პარტნიორს მიეწოდება ინფორმაცია კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ პროფესიულ განათლებაში, საკუთარი პასუხისმგელობის შესახებ პროგრამის განხორციელების პროცესში, გასაფორმებელი ხელშეკრულების/ მემორანდუმის დეტალები, მათ შორის მოდულების/ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში.

5. ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის გზით, რომლის დროსაც ხდება ობიექტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება და პროგრამის განხორციელებში ჩართულ პერსონალთან(საჭიროების შემთხვევაში) შეხვედრა მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში, რაც დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით.

6. კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგი (ანუ ხელშეკრულების/ მემორანდუმის პირობების სათანადოდ შესრულება) ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასებების და კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში) საფუძველზე.

7. ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კოლეჯი (საჭიროების შემთხვევაში)უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვას პრაქტიკის ობიექტისგან.(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ ინფორმაციის რეესტრში განთავსებაზე პასუხისმგებელია რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი შეთანხმების გაფორმებიდან გონივრულ ვადაში;

9. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება/მემორანდუმი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

ა) პრაქტიკის ობიექტისა და კოლეჯის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) პროგრამის სახელწოდებას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;

გ) პრაქტიკის ობიექტისა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;

დ) პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული მოდულების/ სწავლის შედეგების ჩამონათვალს;

ე) პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ვ) პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;

ზ)თანამშრომლობის ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და თანამშრომლობის ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს;

თ) პრაქტიკის ობიექტის/კოლეჯის სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

10. ამ წესით პრაქტიკის ობიექტისთვის განსაზღვრული პირობები არ ვრცელდება 2022 წლის 9 აგვისტომდე გაფორმებულ თანამშრომლობის დოკუმენტებზე (საქართველოს მთავრობის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების "დამტკიცების შესახებ" 2022 წლის 9 აგვისტო დადგენილება №416)